საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბარათაშვილი საჩინო

ბარათაშვილი საჩინო, ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე XVI ს. II ნახევარში, მეფე სიმონ I-ის ერთგული მოხელე, ბოქაულთუხუცესი (1565), შემდგომ მეწინავე სადროშოს – სომხით-საბარათიანოს – სარდალი.

სიმონ I-ის დატყვევების შემდეგ (1569) ბ. არ ემორჩილებოდა დავით XI-ს (დაუთ-ხანს), რისთვისაც, როგორც ჩანს, გადაუყენებიათ (1578 ახლო ხანებში მეწინავე სადროშოს სარდალი ყოფილა დაუთ-ხანის ბიძაშვილი ბაგრატ ბატონიშვილი). ბ-მა გელიყარის კლდიდან გადააგდო კახაბერ ყორღანაშვილი, რ-ის ღალატითაც შეიპყრეს ყიზილბაშებმა სიმონ I. 1587 საბუთში ბ. იხსენიება, როგორც ცოცხალი.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ჯ ა მ ბ უ რ ი ა გ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან თბ., 1955.

გ. ჯამბურია